

ტესტი მუსიკაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: I მოსმენის ნაწილი; II დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

მოსმენის ნაწილისათვის გამოყოფილია განსაზღვრული დრო. ტესტის ელექტრონულ ბუკლეტში თითოეული დავალების შესაბამის ინსტრუქციაში მითითებულია დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი კონკრეტული დრო.

დარჩენილი დრო თქვენი შეხედულებისამებრ გადაანაწილეთ ტესტის II ნაწილის დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები № 1-6.

ინსტრუქცია. პირველი ექვსი დავალებიდან თითოეული შედგება ერთი მუსიკალური ფრაგმენტისა და ორი კითხვისაგან. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. აირჩიეთ პასუხი და X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პასუხების ფურცელზე. სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით, შესაბამისად, თითოეული დავალება - ორი ქულით.

დავალებისათვის განკუთვნილ მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია. ფრაგმენტის მოსმენამდე, გეძლევათ 10 წამი კითხვების წასაკითხად.

დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან.

(2) დავალება № 1.

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

1.1 რომელი კუთხის სიმღერაა?

- ა) სვანეთის;
- ბ) სამეგრელოს;
- გ) კახეთის;
- დ) ფშავის.

1.2 რა სახის მრავალხმიანობაა სიმღერაში?

- ა) ოსტინატური;
- ბ) ბურდონული;
- გ) კონტრასტული;
- დ) კომპლექსური.

(2) დავალება № 2.

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

2.1 რომელი საშემსრულებლო შემადგენლობა ასრულებს ფრაგმენტს?

- ა) ხის ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი;
- ბ) სიმფონიური ორკესტრი;
- გ) კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლი;
- დ) ლითონის ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი.

2.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

- ა) შალვა მშველიძე;
- ბ) დიმიტრი არაყიშვილი;
- გ) ოთარ თაქთაქიშვილი;
- დ) სულხან ცინცაძე.

(2) დავალება № 3.

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

3.1 რა ჟანრის ნაწარმოებია?

ა) ტოკატა;

ბ) ეტიუდი;

გ) რაფსოდია;

დ) ნოქტიურნი.

3.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ფერენც ლისტ;

ბ) ფრიდერიკ შოპენი;

გ) რობერტ შუმანი;

დ) იოჰანეს ბრამსი.

(2) დავალება № 4.

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

4.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

- ა) მელიტონ ბალანჩივაძე;
- ბ) ნიკო სულხანიშვილი;
- გ) ვიქტორ დოლიძე;
- დ) ზაქარია ფალიაშვილი.

4.2 რომელი საოპერო ხმა ასრულებს?

- ა) ბარიტონი;
- ბ) ტენორი;
- გ) ბანი;
- დ) კონტრტენორი.

(2) დავალება № 5.

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

5.1 რომელი საკრავების დუეტი

ჟღერს ფრაგმენტის დასაწყისში?

- ა) ჰობოი და კლარნეტი;
- ბ) ინგლისური ქარახსა და ჰობოი;
- გ) ჰობოი და ფლეიტა;
- დ) ინგლისური ქარახსა და კლარნეტი.

5.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

- ა) ანტონინ დვორჟაკი;
- ბ) კლოდ დებიუსი;
- გ) ფრანც შუბერტი;
- დ) ჰექტორ ბერლიოზი.

(2) დავალება № 6.

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

6.1 რომელი ანსამბლი ასრულებს
სიმღერას?


- ა) „ლედ ზეპელინი“ („Led Zeppelin“);
- ბ) „კვინი“ („Queen“);
- გ) „პინკ ფლოიდი“ („Pink Floyd“);
- დ) „ბითლზი“ („The Beatles“).


6.2 რომელ ჟანრს ეკუთვნის სიმღერა?


- ა) რეგს;
- ბ) შანსონს;
- გ) როკს;
- დ) რეპს.


(1) დავალება № 7.

ინსტრუქცია. მოუსმინეთ მუსიკალურ ბგერათა რიგს. სანოტო ჩანაწერში მოცემულ კილოთა ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ბგერათა რიგს მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:

ა) 

ბ) 

გ) 

დ) 

(1) დავალება № 8.

ინსტრუქცია. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაზას. სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი განსხვავებული რიტმული ფიგურაციიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. მუსიკალურ ფრაზას მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:

ა) 

ბ) 

გ) 

დ) 

(5) დავალება № 9.

მელოდიური კარნახი.

ინსტრუქცია. მოუსმინეთ მელოდიას და ჩაწერეთ სანოტო სისტემაში. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ხუთჯერ; მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალია.

კარნახი მოცემულია ტონალობაში ფა მაჟორი (F dur).

თქვენ მიერ ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში კალმით.

(13) დავალება № 10.

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.

ინსტრუქცია. გააანალიზეთ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი, აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე. ფრაგმენტს მოისმენთ სამჯერ, მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალით. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

კითხვები იხილეთ მომდევნო ორ გვერდზე.

(2) 1. რომელ საფორტეპიანო ჟანრს ეკუთვნის მოცემული ფრაგმენტი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;

(3) 2. დაადგინეთ:

ა) ფრაგმენტის საწყისი ტონალობა;

ბ) მუსიკალური ფორმა, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული ფრაგმენტი;

გ) მე-10 ტაქტში მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები.

(3) 3. დაახასიათეთ, თუ როგორ ვითარდება ნაწარმოების მხატვრულ-ემოციური მხარე; ამისათვის გააანალიზეთ და აღწერეთ, მუსიკალური გამომსახველობის რომელი ხერხები (როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, რეგისტრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა. შ.) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემულ მხატვრულ სახეთა შექმნისათვის.

(2) 4. მოსმენილი ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლების საფუძველზე, დაადგინეთ ნაწარმოების შექმნის ეპოქა და კომპოზიტორის ვინაობა.

(3) 5. კომპოზიტორის ვინაობის გამოცნობის შემთხვევაში, დაახასიათეთ მისი შემოქმედება და ნოვატორული მიღწევები. განიხილეთ ნაწარმოების ისტორიულ-კულტურული კონტექსტი და იმსჯელეთ მოცემული ჟანრის მნიშვნელობაზე კომპოზიტორის შემოქმედებაში.

მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერი იხილეთ მომდევნო გვერდებზე.

Grave

Musical score for measures 1-3. The piece is in common time (C) and the key signature has two flats (B-flat and E-flat). The tempo is marked 'Grave'. The score consists of two staves: a treble clef staff and a bass clef staff. Measure 1 features a piano introduction with a forte-piano (*fp*) dynamic. Measure 2 continues with a similar texture, also marked *fp*. Measure 3 shows a change in texture with a forte (*f*) dynamic.

Musical score for measures 4-5. Measure 4 begins with a piano (*p*) dynamic, followed by a crescendo (*cresc.*) leading to a fortissimo (*sf*) dynamic. A slur covers measures 4 and 5, with a '9' above it indicating a nine-measure phrase. Measure 5 ends with a piano (*p*) dynamic. Measure 6 features a fortissimo (*ff*) dynamic.

Musical score for measures 6-8. Measure 6 starts with a piano (*p*) dynamic. Measure 7 features a fortissimo (*ff*) dynamic. Measure 8 returns to a piano (*p*) dynamic.

Musical score for measures 8 and 9. The piece is in B-flat major (two flats) and 3/4 time. Measure 8 features a piano introduction with a *cresc.* (crescendo) marking. Measure 9 begins with a *sfp* (sforzando piano) dynamic and contains a complex, rapid sixteenth-note passage in the right hand.

Musical score for measures 10 and 11. Measure 10 starts with a piano (*p*) dynamic and includes fingerings 6, 6, and 7. Measure 11 concludes with the instruction *attacca subito il Allegro* (attach immediately the Allegro).

Allegro di molto e con brio

Musical score for measures 11 and 12. Measure 11 begins with a piano (*p*) dynamic and a repeat sign. Measure 12 features a *cresc.* (crescendo) marking. The piece is in B-flat major and 3/4 time.

16

Musical score for measures 16-20. The piece is in a key with two flats (B-flat and E-flat) and a common time signature. The right hand features a melodic line with a long slur over measures 17-19, starting on a whole note G4 and moving through A4, B4, and C5. The left hand plays a steady eighth-note accompaniment. A piano (*p*) dynamic marking is present at the beginning of measure 19.

21

Musical score for measures 21-25. The right hand continues with chords and a melodic line, featuring a *cresc.* (crescendo) marking in measure 23. The left hand maintains the eighth-note accompaniment. A long slur is present over the right hand in measure 25.

26

Musical score for measures 26-30. The right hand has a melodic line with a long slur over measures 26-27, followed by a *p* (piano) dynamic marking. The left hand features a series of chords, with *sf* (sforzando) markings in measures 27 and 28. The piece concludes with a final chord in measure 30.

31

31

sf *sf* *cresc.*

This system contains measures 31 through 35. The key signature has two flats (B-flat and E-flat). The music features a complex texture with overlapping lines in both staves. The right hand has melodic lines with some grace notes and slurs, while the left hand provides harmonic support with chords and moving lines. Dynamic markings include *sf* (sforzando) and *cresc.* (crescendo).

36

36

sf

This system contains measures 36 through 40. The right hand features a series of chords, some with accidentals, and a melodic line starting in measure 38. The left hand continues with a steady eighth-note accompaniment. A dynamic marking of *sf* is present in measure 38.

41

41

sf

This system contains measures 41 through 45. The right hand has a melodic line with slurs and a final chord. The left hand maintains the eighth-note accompaniment. A dynamic marking of *sf* is present in measure 45.

46

Musical score for measures 46-50. The system consists of two staves. The upper staff is in treble clef and the lower staff is in bass clef. The key signature has two flats (B-flat and E-flat). Measure 46 starts with a dynamic marking of *sf*. The upper staff features a melodic line with slurs and accents, while the lower staff has a steady eighth-note accompaniment. The dynamic marking changes to *p* in measure 49.

51

Musical score for measures 51-55. The system consists of two staves. The upper staff is in bass clef and the lower staff is in treble clef. The key signature has two flats. Measure 51 starts with a dynamic marking of *sf*. The upper staff features a melodic line with slurs and accents, while the lower staff has a steady eighth-note accompaniment. The dynamic marking changes to *sf* in measure 53.

56

Musical score for measures 56-60. The system consists of two staves. The upper staff is in bass clef and the lower staff is in treble clef. The key signature has two flats. Measure 56 starts with a dynamic marking of *sf*. The upper staff features a melodic line with slurs and accents, while the lower staff has a steady eighth-note accompaniment. The dynamic marking changes to *sf* in measure 58.

61

61

sf

sf

Measures 61-65: This system contains five measures. The right hand features melodic lines with slurs and accents, starting with a forte (*sf*) dynamic. The left hand provides a steady accompaniment of chords, with a low bass line.

66

66

sf

sf

Measures 66-70: This system contains five measures. The right hand continues the melodic development with slurs and accents, including a forte (*sf*) dynamic. The left hand maintains the chordal accompaniment.

71

71

Measures 71-75: This system contains five measures. The right hand features melodic lines with slurs and accents. The left hand continues the chordal accompaniment, ending with a final chord in the fifth measure.

76

76

f

This system contains measures 76 through 80. The upper staff is in bass clef with a treble clef on the first line, and the lower staff is in treble clef. The key signature has two flats. The music features a melodic line in the upper staff with slurs and accents, and a chordal accompaniment in the lower staff. A dynamic marking of *f* (forte) is present in the fourth measure.

81

81

cresc.

This system contains measures 81 through 86. The upper staff is in treble clef and the lower staff is in treble clef. The key signature has two flats. The music features a melodic line in the upper staff with slurs and accents, and a chordal accompaniment in the lower staff. A dynamic marking of *cresc.* (crescendo) is present in the fourth measure.

87

87

pp

p

This system contains measures 87 through 91. The upper staff is in treble clef and the lower staff is in bass clef. The key signature has two flats. The music features a melodic line in the upper staff with slurs and accents, and a chordal accompaniment in the lower staff. Dynamic markings of *pp* (pianissimo) and *p* (piano) are present in the second and third measures, respectively.

92

cresc.

This system contains measures 92 through 96. The music is in a key with two flats (B-flat and E-flat) and a 3/4 time signature. The right hand features a melodic line with eighth and sixteenth notes, while the left hand provides a steady accompaniment of eighth notes. A *cresc.* (crescendo) marking is placed above the first measure of this system.

97

f *p*

This system contains measures 97 through 101. The right hand continues with a melodic line, showing a dynamic shift from *f* (forte) to *p* (piano) between measures 99 and 100. The left hand has a more active role in measures 97-98, then rests in measures 99-100, and resumes with eighth notes in measure 101.

102

cresc.

This system contains measures 102 through 106. The right hand features a melodic line with eighth notes and some slurs. The left hand provides a consistent accompaniment of eighth notes. A *cresc.* (crescendo) marking is placed above the fourth measure of this system.

107

107

f

This system contains measures 107 through 111. The music is in a key with two flats (B-flat and E-flat) and a 3/4 time signature. The right hand features a melodic line with eighth and sixteenth notes, including some grace notes. The left hand provides a steady accompaniment of eighth notes. A dynamic marking of *f* (forte) is placed at the beginning of measure 111.

112

112

p

This system contains measures 112 through 116. The right hand continues with a melodic line, marked with a dynamic of *p* (piano) in measure 112. A long slur covers the right hand across all five measures. The left hand consists of chords and eighth notes. A dynamic marking of *f* (forte) is placed at the beginning of measure 116.

117

117

cresc.

f

This system contains measures 117 through 121. The right hand features a melodic line with a dynamic marking of *cresc.* (crescendo) in measure 117. A long slur covers the right hand across all five measures. The left hand consists of chords and eighth notes. A dynamic marking of *f* (forte) is placed at the beginning of measure 121.

122

Musical score for measures 122-126. The piece is in B-flat major (two flats) and 4/4 time. The right hand features chords and a melodic line, while the left hand plays a steady eighth-note accompaniment. A dynamic marking of *f* (forte) is present in measure 124. Measure 126 ends with a repeat sign.

127

Musical score for measures 127-131. The right hand has a melodic line with some rests, and the left hand continues with eighth-note accompaniment. Dynamic markings of *f* are used in measures 128, 129, and 130. Measure 131 concludes with a first ending bracket and a repeat sign.

II ნაწილი

დავალებები № 11-28.

ინსტრუქცია. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(1) დავალება № 11.

რომელი განსაზღვრება შეესაბამება სიუიტის ჟანრს?

ა) მრავალნაწილიანი ინსტრუმენტული ნაწარმოები;

ბ) თხზულება გუნდისა და ორკესტრისათვის;

გ) ვირტუოზული პიესა სოლო ინსტრუმენტისათვის;

დ) ქმნილება სოლო საკრავისა და ორკესტრისათვის.

(1) დავალება № 12.

რა ეწოდება ფუგის იმ მონაკვეთს, რომელშიც, სანამ ერთ ხმაში თემის გატარება დასრულდება, მომდევნო ხმაში უკვე იგივე თემა შემოდის?

ა) ექსპოზიცია;

ბ) პასუხი;

გ) რეპრიზა;

დ) სტრეტა.

(1) დავალება № 13.

ჩამოთვლილთაგან, რომელია მუსიკალური ორნამენტიკის სახეობა?

ა) სტაკატო;

ბ) ფლაჟოლეტი;

გ) გრუპეტი;

დ) ტრიოლი.

(1) დავალება № 14.

ოპერა buffa არის საოპერო ჟანრი, რომლის დრამატურგის საფუძველია:

ა) სასიმღერო და სალაპარაკო ეპიზოდების მონაცვლეობა;

ბ) ვოკალური სცენებისა და საორკესტრო ეპიზოდების გამჭოლი განვითარება;

გ) არიების, არიოზული რეჩიტატივებისა და საანსამბლო ნომრების მონაცვლეობა;

დ) არიების, secco რეჩიტატივების, ანსამბლებისა და გუნდების მიმდევრობა.

(1) დავალება № 15.

ვინ ჩაუყარა საფუძველი სიმფონიურ ორკესტრს?

ა) ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა;

ბ) ფრანც შუბერტმა;

გ) ამადეუს მოცარტმა;

დ) იოზეფ ჰაიდნმა.

(1) დავალება № 16.

რომელია ფრანგული წარმოშობის ცეკვა?

ა) ტარანტელა;

ბ) ხაბანერა;

გ) მაზურეკი;

დ) მენუეტი.

(1) დავალება № 17.

რომელი მუსიკალური ტერმინი აღნიშნავს შესრულებას „მძიმედ“?

ა) Cantabile;

ბ) Grazioso;

გ) Pesante;

დ) Agitato.

(1) დავალება № 18.

რომელი დაჯგუფება არის მცდარი?

ა) მუსიკალური დინამიკის აღმნიშვნელი ტერმინებია: diminuendo, accelerando, crescendo;

ბ) მამაკაცის ხმის ტემბრებია: ტენორი, ბარიტონი, ბანი;

გ) სიმფონიების ნიმუშებია: „ლიტავრების ტრემოლოთი“, „დაუმთავრებელი“, „ახალი სამყაროდან“;

დ) ლითონის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფშია: ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი.

(1) დავალება № 19.

მუსიკალური გამომსახველობის რომელი საშუალება აღნიშნავს შესრულების სისწრაფეს?

ა) ტემბრი;

ბ) რეგისტრი;

გ) ტემპი;

დ) ფაქტურა.

(1) დავალება № 20.

რომელი დახასიათება არ შეესატყვისება მოდესტ მუსორგსკის თხზულებას „სურათები გამოფენიდან“?

- ა) მრავალფეროვანი შინაარსის მქონე მუსიკალური პიესები შეიქმნა სურათების გამოფენიდან მიღებული შთაბეჭდილებებით;
- ბ) საფორტეპიანო თხზულება აგებულია მე-19 საუკუნის პოპულარული სამეჯლისო ცეკვების რიტმიკაზე;
- გ) პროგრამული პიესების სიუჟეტები რეალური ცხოვრებისა და ზღაპრული შინაარსის ეპიზოდებს ასახავს;
- დ) ნაწარმოები იწყება მუსიკალური თემით, რომელიც თხზულების მანძილზე პერიოდულად მეორდება და ნაწარმოების ფორმას ამთლიანებს.

(1) დავალება № 21.

რომელი ნაწარმოების პარტიტურაშია პარტია საქსოფონისათვის?

ა) კამილ სენ-სანსის „ცხოველთა კარნავალში“;

ბ) მორის რაველის „ბოლეროში“;

გ) ოლივიე მესიანის „ეგზოტიკურ ჩიტებში“;

დ) კლოდ დებიუსის „ნოქტურნებში“.

(1) დავალება № 22.

ვინ ჩაუყარა საფუძველი პროგრამულ საკონცერტო უვერტიურის ჟანრს?

ა) კარლ ვებერმა;

ბ) ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა;

გ) ფელიქს მენდელსონმა;

დ) რობერტ შუმანმა.

(1) დავალება № 23.

რომელი ქართველი პოეტის ლექსი დაედო საფუძვლად ნიკო სულხანიშვილის საგუნდო სიმღერა „გუთნურს“?

ა) აკაკი წერეთლის;

ბ) ილია ჭავჭავაძის;

გ) ნიკოლოზ ბარათაშვილის;

დ) ალექსანდრე ჭავჭავაძის.

(1) დავალება № 24.

რომელი ოპერის მოქმედება ვითარდება საფრანგეთში?

ა) „ტურანდოტის“;

ბ) „ჯადოსნური ფლეიტის“;

გ) „ტრავიატას“;

დ) „ევგენი ონეგინის“.

(1) დავალება № 25.

რა თავისებურება არ ახასიათებს რომანტიზმის ეპოქის მუსიკას?

ა) მუსიკალურ კომპოზიციებში ასახულია კომპოზიტორთა ავტობიოგრაფიული მომენტები;

ბ) სონატურ-სიმფონიური ციკლი ერთნაწილიანმა სიმფონიამ ჩაანაცვლა;

გ) პროგრამულობა კომპოზიტორის ჩანაფიქრის გამოხატვის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა;

დ) მინიატურათა ციკლი ადამიანის მდიდარ ემოციურ სამყაროს გადმოსცემს.

(1) დავალება № 26.

რა ეწოდება რამდენიმე სანოტო სისტემის გამაერთიანებელ გრაფიკულ ნიშანს?

ა) შტილი;

ბ) პაუზა;

გ) აკოლადა;

დ) ფერმატო.

(1) დავალება № 27.

რომელი პიესა არ შედის ედვარდ გრიგის საორკესტრო სიუიტა „პერ გიუნტში“?

ა) „ანიტრას ცეკვა“;

ბ) „დილა“;

გ) „ღრუბლები“;

დ) „ოზეს სიკვდილი“.

(1) დავალება № 28.

რომელი რუსი კომპოზიტორის ნაწარმოები შეიქმნა ნიკოლო პაგანინის კომპოზიციის საფუძველზე?

ა) ნიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვის;

ბ) სერგეი სტრავინსკის;

გ) სერგეი რახმანინოვის;

დ) პეტრე ჩაიკოვსკის.

დავალებები № 29 - 32.

ნოტიდან აგება

ინსტრუქცია. ააგეთ და პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში ჩაწერეთ:
ინტერვალი, აკორდები და კილო რე ნოტიდან.

- (1) 29. დიდი ტერცია;
- (1) 30. მაჟორული სექსტაკორდი;
- (1) 31. მცირე მაჟორული სექსტაკორდი;
- (1) 32. მელოდიური მინორი.

დავალებები № 33 - 35.

შესაბამისობის დადგენა

ინსტრუქცია. დავალებაში მოცემულია ჩამონათვალის ორი სვეტი. დაადგინეთ შესაბამისობა მათ შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესაბამება მარჯვენა სვეტის მხოლოდ ერთი მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე). ყოველი შერჩეული შესაბამისობა X ნიშნით მონიშნეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(3) დავალება № 33.

დაადგინეთ შესაბამისობა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და მათ წარმოშობას შორის
(კუთხეების თვალსაზრისით):

- | | |
|-------------------|------------|
| 1. „მირანგულა“ | ა) გურია |
| 2. „ჭონა“ | ბ) ფშავი |
| 3. „ჯვარი წინასა“ | გ) ქართლი |
| | დ) რაჭა |
| | ე) სვანეთი |

(3) დავალება № 34.

დაადგინეთ შესაბამისობა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებსა და მათ ავტორებს შორის:

1. „ფიროსმანი“

ა) სულხან ცინცაძე

2. „სტიქსი“

ბ) ოთარ თაქთაქიშვილი

3. „ცეკვა-ფანტაზია“

გ) ბიძინა კვერნაძე

დ) გია ყანჩელი

ე) სულხან ნასიძე

(3) დავალება № 35.

დაადგინეთ შესაბამისობა კომპოზიტორებსა და ეპოქებს/მიმდინარეობებს შორის:

1. დომენიკო სკარლატი

ა) იმპრესიონიზმი

2. კლოდ დებიუსი

ბ) ბაროკო

3. რიხარდ ვაგნერი

გ) ნეოკლასიციზმი

დ) რენესანსი

ე) რომანტიზმი

დავალებები № 36–40.

„ჭეშმარიტია - მცდარია“

ინსტრუქცია. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, შესაბამისი უჯრა X ნიშნით მონიშნეთ; ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, მაშინ შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.

მცდარი დებულების შემთხვევაში, შეგიძლიათ, როგორც მოცემულ განმარტებას შეუსაბამოთ სწორი ტერმინი/სიტყვა, ისე მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწეროთ სწორი განმარტება. გაითვალისწინეთ, რომ პასუხი იმ შემთხვევაში არ მიიღება, თუ მოცემული განმარტების დადებით ფორმას შეცვლით უარყოფითით ან პირიქით. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) დავალება № 36.

ინტერმეცო - ოპერის ერთ-ერთი სოლო ვოკალური ფორმაა.

(1) დავალება № 37.

ლაიტმოტივი - მოკლე მუსიკალური მოტივი ან ფრაზაა, რომელიც ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, ადგილთან ან იდეასთან არის დაკავშირებული და ხშირად მეორდება.

(1) დავალება № 38.

Glissando - მუსიკალური ტემპის აღმნიშვნელი ტერმინია.

(1) დავალება № 39.

აღიღო - შრომის სიმღერაა.

(1) დავალება № 40.

კოლაჟი - მუსიკალური კომპოზიციის ხერხია, რომელიც ორი ან მეტი დამოუკიდებელი მელოდური ხაზის ჰარმონიულ შერწყმას ნიშნავს.

დავალებები № 41 – 42.

ქრონოლოგიის დადგენა

ინსტრუქცია. დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიურად უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხების ფურცელზე მოთავსებულ ცხრილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა აღნიშნულია ციფრებით 1-დან 4-მდე. ჩაწერეთ პასუხები შერჩეული ციფრის გასწვრივ უჯრაში, ანბანის შესაბამისი ასოებით (ა, ბ, გ, დ). თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) დავალება № 41.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ევროპული საოპერო მუსიკის ნიმუშები მათი შექმნის პერიოდის მიხედვით:

ა) „ბოჰემა“;

ბ) „დონ ჯოვანი“;

გ) „კარმენი“;

დ) „რიგოლეტო“.

(1) დავალება № 42.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ მუსიკალური მიმდინარეობები/ეპოქები:

ა) კლასიციზმი;

ბ) ექსპრესიონიზმი;

გ) ბაროკო;

დ) რომანტიზმი.